

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



“ ვ ა მ ტ კ ი ც ე პ ”

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის
უფროსი

ჭ. ჭყიშვილი

ზურაბ ბუცხრიკიძე

„ 31 “ 10 “ 2014 წელი

ეგზ. № 1

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური ანგარიშგების

ფინანსური აუდიტის ანგარიში *აღ 35/00*

2014 წელი

შინაარსი

აუდიტის ობიექტი.....	4
აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.....	4
აუდიტორის პასუხისმგებლობა.....	5
აუდიტის მიდგომა.....	6
2012 წლის ფინანსური ანგარიშგების პირობითი მოსაზრების საფუძველი	7
ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ.....	7
ორგანიზაციის შიდა კონტროლის ხარვეზები	8
2012 წლის ფინანსური ანგარიშგების პირობითი მოსაზრების საფუძველი	9
მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში	9
წინასწარ გადახდილი გადასახადები	9
შენობა-ნაგებობები	10
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	13
შრომის ანაზღაურება.....	14
ძირითადი კაპიტალის მოხმარება.....	15
სუბსიდიები.....	16
სოციალური უზრუნველყოფა.....	18
ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ	18
ანგარიში ეკონომიკური საქმიანობით მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ	19
ინვენტარიზაცია	19
აუდიტის მოსაზრება.....	20
ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის 2013 წლის ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტი.....	22
ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ.....	22
ორგანიზაციის შიდა კონტროლის ხარვეზები	22
2013 წლის ფინანსური ანგარიშგების პირობითი მოსაზრების საფუძველი	24
მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში	24
წინასწარ გადახდილი გადასახადები	24
შენობა-ნაგებობები	26
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	28
ძირითადი კაპიტალის მოხმარება.....	30
სუბსიდიები.....	31
ანგარიში ეკონომიკური საქმიანობით მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ	32

შენიშვნა-ნაგებობები (გზები/ხიდები)	33
ინვენტარიზაცია	33
აუდიტის მოსაზრება.....	35
ორგანიზაციის ბალანსი.....	36
ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით.....	39
ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ.....	43
ორგანიზაციის ანგარიში ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ	45
ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ	47
ანგარიში ეკონომიკური საქმიანობით მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ	48
ანგარიში ფულადი გრანტების შესახებ	49
ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ.....	50
ორგანიზაციის ანგარიში ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ.....	54
ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე.....	55
ორგანიზაციის ბალანსი.....	56
ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით.....	59
ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ.....	63
ორგანიზაციის ანგარიში ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ	65
ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ	67
ანგარიში ეკონომიკური საქმიანობით მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ	68
ანგარიში ფულადი გრანტების შესახებ	69
ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ.....	70
ორგანიზაციის ანგარიში ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ.....	74
ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე.....	75
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი.....	76
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები.....	76

აუდიტის ობიექტი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტი. მუნიციპალიტეტი ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ოპრგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანების საფუძველზე. ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ბალანსს და ბალანსის დანართ ფორმებს, კერძოდ: ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის, არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების, წმინდა ღირებულების, ეკონომიკური საქმიანობით მიღებული სახსრების მოძრაობის, ფულადი გრანტების მოძრაობის, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის, ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების ცვლილებების, არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის შესახებ ანგარიშებს.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის, „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანების, „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანებისა და „ბიუჯეტების

დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის №439 ბრძანების შესაბამისად.

მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას. გარდა ამისა, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია აუდიტორებისათვის მოწოდებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი აუდიტის საფუძველზე გამოთქვამს მოსაზრებას წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი ჩატარებულია აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით და აუდიტორების მიერ დაცულ იქნა ყველა ის ეთიკური მოთხოვნა, რომელთაც ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობა და სხვა მარეგულირებელი ნორმები.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად. პროცედურების შერჩევა დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ განსჯაზე, მათ შორის, აუდიტის ობიექტის მიერ განხორციელებული საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა ნორმატიულ აქტებთან შეუსაბამობის რისკების შეფასებაზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი აუდიტის ობიექტის საქმიანობის კანონშესაბამისობისა და მართლზომიერების უზრუნველსაყოფად, რათა დაგეგმოს მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია პირობითი აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

აუდიტის მიდგომა

აუდიტის რისკის შესამცირებლად განისაზღვრა ფინანსური ანგარიშგების დონეზე გამოვლენილ მნიშვნელოვან უზუსტობებსა და რისკზე რეაგირების სტრატეგია. აუდიტის ჯგუფმა არსებითობის განსაზღვრის საფუძვლად აიღო მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგების ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი - მთლიანი დანახარჯები. გარდა ამისა, გავითვალისწინეთ:

- ✓ მუნიციპალიტეტის შიდა კონტროლის საიმედოობა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას;
- ✓ ჩვენ მიერ განხორციელებული რისკის შეფასების პროცედურების შედეგად გამოვლენილი რისკები.


აუდიტის ჯგუფი არ გამოთქვამს მოსაზრებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი საწყისი ნაშთების სისწორეზე. ჩასატარებელი აუდიტორული პროცედურების განსაზღვრის დროს ბალანსში წარმოდგენილი საწყისი ნაშთები მიღებულია, როგორც სარწმუნო.

2012 წელს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი არ ფლობდა ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად საჭირო პროგრამულ უზრუნველყოფას ავტორიზაციის სათანადო დონეებით და სამეურნეო ოპერაციების ბუღალტრული აღრიცხვა ხდებოდა მანუალურად. შესაბამისად, 2012 წელს მუნიციპალიტეტის მიერ დანერგილი შიდა კონტროლის სისტემა სათანადოდ ვერ ახორციელებდა არსებითი უზუსტობების გამოვლენას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ფინანსურ ანგარიშგებაში ოპერაციების შეცდომით აღრიცხვის რისკი განისაზღვრა, როგორც მაღალი.


2012 წლის ფინანსური ანგარიშგების პირობითი მოსაზრების საფუძველი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს საკუთარი¹ და არასაკუთარი შემოსულობები. საკუთარი შემოსულობებით მუნიციპალიტეტი აფინანსებს თავისი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ღონისძიებებს. თვითმმართველი ერთეული სახელმწიფო ბიუჯეტიდან ასევე ფინანსდება მიზნობრივი ტრანსფერით, რომელსაც იღებს დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად და სპეციალური ტრანსფერით, საიდანაც აფინანსებს სხვადასხვა ღონისძიებებს.

2012 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის შემოსულობებმა შეადგინა 6 834.5 ათასი ლარი, მათ შორის, შემოსავლები - 6 745.1 ათასი ლარი, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება - 89.4 ათასი ლარი. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის შემოსავლების 94%-ს შეადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული გრანტები, რომლებიც, თავის მხრივ, მოიცავს გათანაბრებით, მიზნობრივ და სპეციალურ ტრანსფერს.



დიაგრამა 1: 2012 წლის შემოსავლები




დიაგრამა 2: 2012 წლის ტრანსფერები

2012 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, ბიუჯეტის გადასახდელებმა შეადგინა 7 287.1 ათასი ლარი. მათ შორის, არაფინანსური

¹ მათ შორის, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი გათანაბრებითი ტრანსფერი.

აქტივების ზრდა - 3 509.8 ათასი ლარი (48,2%), ხოლო ხარჯები - 3 777.4 ათასი ლარი (51,8%).

დიაგრამა 3: 2012 წლის ხარჯების კლასიფიკაცია



ორგანიზაციის შიდა კონტროლის ხარვეზები

აუდიტის ჯგუფის მიერ იდენტიფიცირებული არსებითი უზუსტობების რისკზე საპასუხოდ განხორციელებული აუდიტორული პროცედურებითა და მუნიციპალიტეტის შიდა კონტროლის სისტემის შესწავლით გამოვლინდა, რომ ორგანიზაციის მიერ დანერგილი შიდა კონტროლი ვერ უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი უზუსტობის გამოვლენას ან/და თავიდან აცილებას შემდეგ პროცედურებზე:

- ✓ არაფინანსური აქტივების აღრიცხვა, საბალანსო ღირებულების შეფასება;
- ✓ ორგანიზაციის მიერ განხორციელებული ოპერაციების შესაბამის ანგარიშებზე კლასიფიკაცია და ფინანსურ ანგარიშგებაში უტყუარად წარდგენა;
- ✓ ამორტიზებული აქტივების აღრიცხვა და ჩამოწერა;

- ✓ გრძელვადიან აქტივებს მიკუთვნებული სამუშაოებისთვის ცვეთის კოეფიციენტის განსაზღვრა და ცვეთის დარიცხვა;
- ✓ კაპიტალური და მიმდინარე ხარჯების გამიჯვნა.

2012 წლის ფინანსური ანგარიშგების პირობითი მოსაზრების საფუძველი

მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში

გარემოება: ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტს 2012 წლის 31 დეკემბერს საბანკო ამონაწერის მიხედვით, მიმდინარე ანგარიშზე ერიცხება თავისუფალი ნაშთი - 32.6 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული თანხა წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ფინანსურ აქტივს. მიუხედავად ამისა, ბანკის მიმდინარე ანგარიშზე არსებული ნაშთი ორგანიზაციას ფინანსური ანგარიშგების შესაბამის მუხლში არ აუსახავს.

გავლენა:

- მიმდინარე ანგარიშზე არსებული ნაშთის აღურიცხაობის გამო ფინანსურ ანგარიშგებაში, კერძოდ ბალანსში, მუხლები - „მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში“ და „წმინდა ღირებულება“, 32.6 ათასი ლარით შემცირებულადაა წარმოდგენილი.
- გამოვლენილი გარემოების შედეგად, 32.6 ათასი ლარით არასწორადაა წარმოდგენილი ორგანიზაციის ანგარიში „წმინდა ღირებულების“ შესახებ, (ბალანსის დანართი - ფორმა №3).

წინასწარ გადახდილი გადასახადები

გარემოება: 2012 წელს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტს შემოსავლების სამსახურში არსებული პირადი აღრიცხვის ბარათზე ერიცხება ზედმეტად გადახდილი გადასახადები საერთო თანხით - 302.9 ათასი ლარი. მათ შორის: საშემოსავლო გადასახადი - 279.3 ათასი ლარი, სოციალური გადასახადი - 18.4 ათასი

ლარი, დღგ - 2.4 ათასი ლარი და ქონების გადასახადი - 2.8 ათასი ლარი. აღნიშნული საგადასახადო აქტივი მუნიციპალიტეტს უნდა აღერიცხა „ფინანსური ანგარიშგების“ შესაბამის მუხლებში, რაც არ განხორციელებულა.

გავლენა:

◦ გამოვლენილი გარემოების შედეგად ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებაში 302.9 ათასი ლარით შემცირებულადაა წარმოდგენილი ორგანიზაციის ბალანსის წინასწარ გადახდილი გადასახადებისა და წმინდა ღირებულების მუხლები. ასევე აღნიშნული თანხით არასწორადაა წარმოდგენილი ორგანიზაციის ანგარიში „წმინდა ღირებულების“ შესახებ (ბალანსის დანართი - ფორმა №3).

შენიშვნა-ნაგებობები

გარემოება №1: 2012 წელს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში შესრულდა 397.4 ათასი ლარის გზის მოხრეშვის სამუშაოები, რომელიც ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებაში აღირიცხა, როგორც კაპიტალური ხარჯი. მიუხედავად იმისა, რომ შესრულებული სამუშაოები ინარჩუნებს აღნიშნული აქტივის სარგებლიანობას, იგი მნიშვნელოვნად არ ზრდის გზის საფარის თვისებებს და მისი გამოყენების ვადას. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მიხედვით მოხრეშვის მსგავსი სამუშაოები თვისობრივად არ აკმაყოფილებს კაპიტალურ ხარჯად აღიარების კრიტერიუმს. შესაბამისად, მასზე გაწეული დანახარჯები მინიციპალიტეტს ნაცვლად კაპიტალური ხარჯისა, უნდა აღერიცხა მიმდინარე ხარჯების მუხლით.

გავლენა:

◦ ოპერაციის აქტივად არასწორად აღიარების გამო ფინანსურ ანგარიშგებაში, ბალანსში და ორგანიზაციის ანგარიშში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ (ბალანსის დანართი - ფორმა №5) 397.4

ათასი ლარით გაზრდილია „არაფინანსური აქტივების“ მუხლები. ასევე არასწორადაა წარმოდგენილი ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ (ბალანსის დანართი - ფორმა № 2-1).

○ მოხრეშვის სამუშაოები არ წარმოადგენს აქტივს, შესაბამისად, მასზე ცვეთის დარიცხვა არასწორია. ამ მიზეზით ფინანსურ ანგარიშგებაში არასწორადაა წარმოდგენილი ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ (ბალანსის დანართი - ფორმა №5) და ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ (ბალანსის დანართი - ფორმა №3).

○ ორგანიზაციის ხარჯების ანგარიშში ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით (ბალანსის დანართი - ფორმა №2) „მიმდინარე ხარჯების“ და ორგანიზაციის ანგარიშში წმინდა ღირებულების შესახებ (ბალანსის დანართი - ფორმა №3) „საქონელი და მომსახურების“ მუხლები შემცირებულია 397.4 ათასი ლარით.

გარემოება №2: 2012 წელს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტს სახელმწიფოსგან გადაეცა ათი სხვადასხვა შენობა მასზე დამაგრებული მიწით:

ცხრილი 1: 2012 წელს სახელმწიფოს მიერ მუნიციპალიტეტისთვის გადმოცემული ქონება

მისამართი	საკადასტრო კოდი	განაშენიანე ბის ფართობი(კვ.მ)	მიწის ფართობი (კვ.მ)
დაბა ჩხოროწყუ, ჭავჭავაძის ქუჩა	46.02.31.039	455.92	1519.00
დაბა ჩხოროწყუ, აღმაშენებლის ქუჩა №2	46.02.31.059	419	502.00
დაბა ჩხოროწყუ, აღმაშენებლის ქუჩა, №10	46.02.31.060.01.500	159.7	210.00
დაბა ჩხოროწყუ, კოსტავას ქუჩა, № 5	46.02.43.012.01.501	309.88	1076.00
დაბა ჩხოროწყუ, აღმაშენებლის ქუჩა №12	46.02.01.743.01.505	99.70	408.00

დაბა ჩხოროწყუ, აღმაშენებლის ქუჩა № 1	46.02.32.028	1118.3	1824
დაბა ჩხოროწყუ, ცანავას ქუჩა	46.02.43.033	244.36	22021
დაბა ჩხოროწყუ, კოსტავას ქუჩა № 23	46.02.43.007.01.500	356.91	499
დაბა ჩხოროწყუ, გობეჩიას ქუჩა № 3	46.02.31.025.01.500	219.88	219
დაბა ჩხოროწყუ, დავით აღმაშენებლის ქუჩა № 6	46.02.31.046	1208.17	1415

პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტს არ შეუფასებია გადმოცემული ქონების ღირებულება და შესაბამისი თანხაც არ აისახა ფინანსურ ანგარიშგებაში.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, არასწორადაა წარმოდგენილი ორგანიზაციის ბალანსის „ძირითადი აქტივების და „წმინდა ღირებულების“ მუხლები.
- მიღებული ქონების აღურიცხაობის გამო, შესაბამისი თანხით არასწორია ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ (ბალანსის დანართი - ფორმა №5).
- იმის გათვალისწინებით, რომ უსასყიდლოდ მიღებული აქტივები მუნიციპალიტეტს არ აღურიცხავს და შესაბამისად არ მომხდარა მათზე ცვეთის დარიცხვა, არასწორადაა წარმოდგენილი ორგანიზაციის „ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის შესახებ“ (ბალანსის დანართი - ფორმა №2) და „ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ (ბალანსის დანართი - ფორმა №3).

მანქანა-დანადგარები და ინვენტარი

გარემოება № 1: ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბალანსის არაფინანსურ აქტივებში „მანქანა-დანადგარები და ინვენტარის“ მუხლში აღრიცხული ავტომანქანებიდან სამი ერთეული სატრანსპორტო საშუალება, საერთო ღირებულებით 41.6 ათასი ლარი, დაზიანებულია და ექვემდებარება მეორეული ლითონის სახით რეალიზაციას.² რადგან აღნიშნული აქტივები მწყობრიდანაა გამოსული და არ გამოიყენება დანიშნულებისამებრ ისინი არ უნდა ირიცხებოდა მუნიციპალიტეტის ბალანსის „არაფინანსური აქტივების“ მუხლში.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, ორგანიზაციის ბალანსში და ანგარიშში „არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ (ბალანსის დანართი - ფორმა №5) „სატრანსპორტო საშუალებების“ მუხლი 41.6 ათასი ლარით გაზრდილად არის წარმოდგენილი.
- რადგან მუნიციპალიტეტი მწყობრიდან გამოსულ აქტივებს არიცხავს ცვეთას, შესაბამისი ცვეთის თანხით არასწორადაა წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების ფორმა „არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ (ბალანსის დანართი - ფორმა №5) და ორგანიზაციის ანგარიშში „წმინდა ღირებულების შესახებ“ (ბალანსის დანართი - ფორმა №3).

გარემოება № 2: ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბალანსის „არაფინანსური აქტივების“ მუხლში ირიცხება მწყობრიდან გამოსული ინვენტარი, რომელსაც გამგეობა არ იყენებს თავისი საქმიანობის განსახორციელებლად. 2012 წელს მუნიციპალიტეტს არ შეუფასებია მწყობრიდან გამოსული აქტივები და არ ჩამოუწერია ისინი ორგანიზაციის ბალანსიდან.

² მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ზაზა ხორავა (ახსნა - განმარტებითი ბარათი № 2).

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად გაზრდილადაა წარმოდგენილი ორგანიზაციის ბალანსის არაფინანსური აქტივები, კერძოდ, „მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის“ მუხლი.
- იმის გათვალისწინებით, რომ მწყობრიდან გამოსულ აქტივებს ერიცხება ცვეთა, არასწორადაა წარმოდგენილი ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის და არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ ანგარიშები (ბალანსის დანართი № 2 და № 5). ასევე არასწორია ორგანიზაციის „ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ (ბალანსის დანართი № 3).

შრომის ანაზღაურება

გარემოება: 2012 წლის ოქტომბერში საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების შესაბამისად,³ მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება⁴, გაეზარდა სხვადასხვა თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგო. შედეგად, მუნიციპალიტეტმა ვალდებულება აიღო დამატებით 94.2 ათასი ლარის ხელფასების გაცემაზე, რაც ფინანსური ანგარიშგების დანართში „ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის შესახებ“ (ბალანსის დანართი ფორმა № 2) „ვალდებულებების“ ნაწილში არ ასახულია.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, არასწორადაა წარმოდგენილი ორგანიზაციის „ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის შესახებ“ (ბალანსის დანართი - ფორმა № 2), სადაც „შრომის ანაზღაურების“ მუხლის ვალდებულებების ნაწილში არ არის ასახული 94.2 ათასი ლარის გასაცემი ხელფასი.

³ საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 19 ოქტომბრის №961 ბრძანებულება - „ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 29 აგვისტოს №726 ბრძანებულებაში ცვლილების შესახებ“.

⁴ 2012 წლის 26 ოქტომბრის ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს №26 დადგენილება.

ძირითადი კაპიტალის მოხმარება

გარემოება: მუნიციპალიტეტი ძირითადი საშუალებების აღრიცხვის დროს არ იყენებს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის №439 ბრძანებით - „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ განსაზღვრულ ცვეთის ნორმებს, რის გამოც არასწორად აღირიცხება არაფინანსური აქტივები. პასუხისმგებელი პირის განმარტებით⁵, არაფინანსური აქტივების ცვეთის გაანგარიშებისას მუნიციპალიტეტი იყენებს საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ წესს. ცვეთის დარიცხვის არასწორი პრინციპის გამო: 1. ნარჩენი ღირებულება გააჩნია ისეთ აქტივებს, რომლებიც 2012 წლისთვის ამორტიზებული უნდა იყოს და 2. აქტივების ცალკეული ჯგუფისთვის არასათანადოდაა განსაზღვრული ცვეთის ნორმები.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, მუნიციპალიტეტის ბალანსში არასწორადაა წარმოდგენილი ძირითადი საშუალებების ღირებულებები, წმინდა ღირებულების ანგარიში და ბალანსის საცნობარო მუხლი „ამორტიზებული ძირითადი აქტივები“.
- არასათანადოდ შერჩეული ცვეთის ნორმების შედეგად, არასწორადაა წარმოდგენილი ორგანიზაციის „ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ (ბალანსის დანართი ფორმა № 5).
- იმის გათვალისწინებით, რომ ორგანიზაცია არასათანადოდ ახდენს ცვეთის ხარჯის აღრიცხვას, არაზუსტადაა წარმოდგენილი ორგანიზაციის „ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ (ბალანსის დანართი ფორმა № 2) და „ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ (ბალანსის დანართი ფორმა №3).

⁵ მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, ზაზა ხორავა (ახსნა -განმარტებითი ბარათი № 5).

სუბსიდიები

გარემოება №1: 2012 წელს სხვადასხვა სპორტული, კულტურული და ახალგაზრდული ღონისძიებების დასაფინანსებლად მუნიციპალიტეტმა განახორციელა 71.5 ათასი ლარის⁶ საქონლისა და მომსახურების შესყიდვა. აღნიშნული თანხა მუნიციპალიტეტის ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულია „სუბსიდიის“ მუხლში. „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის თანახმად, „სუბსიდიის“ მუხლში აღრიცხება სსიპ-ზე და სხვა სახელმწიფო არაფინანსურ საწარმოებზე მიმდინარე და საოპერაციო ხარჯების დასაფინანსებლად გაცემული თანხები, შესაბამისად, აღნიშნულ ღონისძიებებზე გაწეული ხარჯი არ მიეკუთვნება სუბსიდიას და მისი აღრიცხვა უნდა მომხდარიყო „საქონელი და მომსახურების“ მუხლით.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, ფინანსური ანგარიშგების დანართებში: „ორგანიზაციის ხარჯების ანგარიში ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ და „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ (ბალანსის დანართი - ფორმა №2 და ფორმა №3) 71.5 ათასი ლარით გაზრდილია სუბსიდიების, ხოლო იმავე თანხით შემცირებულია „საქონლისა და მომსახურების“ მუხლები.

გარემოება №2: 2012 წელს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტს შვიდ ა(ა)იპ-ზე მიმდინარე საქმიანობის დაფინანსების მიზნით გაცემული აქვს 944.3 ათასი ლარი, (ცხრილი 2) რომელიც არ არის აღრიცხული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის მუხლებში. „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის თანახმად, აღნიშნული ხარჯი არის სუბსიდია, რომელიც უნდა აღირიცხოს ორგანიზაციის ხარჯების ანგარიშში ეკონომიკური

⁶ კულტურული ღონისძიებები - 15.0 ათასი ლარი, ახალგაზრდული ღონისძიებები - 27.2 ათასი ლარი და სპორტული ღონისძიებები - 29.3 ათასი ლარი.

კლასიფიკაციის მიხედვით. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნული განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ორგანიზაცია ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღრიცხავს იმ თანხებს, რომელიც ა(ა)იპ-ებს გადაეცემათ მიმდინარე და საოპერაციო ხარჯების დასაფინანსებლად.

ცხრილი 2: 2012 წელს ა(ა)იპ-ებზე გაცემული სუბსიდია (ათასი ლარი)

ა(ა)იპ-ის დასახელება	გაცემული სუბსიდია
1. დასუფთავებისა და კეთილმოწყობის ცენტრი	187.3
2. განათლებისცენტრისა და სასპორტო სკოლის გაერთიანება	359
3. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ფეხბურთის ცენტრი	117
4. კულტურის ცენტრი	150
5. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლა	35
6. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი	36
7. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ჯანდაცვის ცენტრი	60
სულ:	944.3

გავლენა:

- იმის გათვალისწინებით, რომ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის აღრიცხული მუნიციპალიტეტის მიერ სუბსიდიის სახით გაწეული 944.3 ათასი ლარის ხარჯი, შესაბამისი თანხით არასწორადაა წარმოდგენილი „ორგანიზაციის ხარჯების ანგარიში ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ (დანართი №2) და „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ (დანართი №3). შესაბამისად, ორგანიზაციის ბალანსში არასწორადაა წარმოდგენილი „წმინდა ღირებულების“ მუხლი.
- გამოვლენილი გარემოების შედეგად, დარღვეულია „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება.

სოციალური უზრუნველყოფა

გარემოება: ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტს, 2012 წელს წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით გახარჯული აქვს 314.0 ათასი ლარი⁷. „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით გაცემული ხარჯები აღნიშნული თანხით უნდა ასახულიყო მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგების შესაბამის ფორმებში, რაც 2012 წელს არ განხორციელებულა.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად „ორგანიზაციის ხარჯების ანგარიშში ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ (ბალანსის დანართი - ფორმა №2) და „ანგარიშში ორგანიზაციის წმინდა ღირებულების შესახებ“ (ბალანსის დანართი - ფორმა №3) 314 ათასი ლარით შემცირებულადაა წარმოდგენილი „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლი. შესაბამისად, ორგანიზაციის ბალანსში არასწორადაა წარმოდგენილი „წმინდა ღირებულების“ მუხლი.

ორგანიზაციის ანგარიშში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ

გარემოება: 2012 წლის ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგების ბალანსის დანართ - ფორმა №2-1-ში წარმოდგენილი ინფორმაცია შეიცავს არსებით უზუსტობას, რაც გამოწვეულია იმით, რომ აღნიშნულ დანართში ასახულია 2013 წლის მონაცემები.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, არასწორადაა წარმოდგენილი ორგანიზაციის ანგარიშში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ (ბალანსის დანართი - ფორმა №2-1).

⁷ თანხა არ მოიცავს ა(ა)იპ „ჩხოროწყუს ჯანდაცვის ცენტრზე“ გაცემულ სუბსიდიას - 60 ათას ლარს, რომელიც ბიუჯეტში არასწორადაა კლასიფიცირებული „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით.

ანგარიში ეკონომიკური საქმიანობით მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ

გარემოება: ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტმა აუდიტის ჯგუფს წარუდგინა ბალანსის დანართი - ფორმა №4 - „ანგარიში ეკონომიკური საქმიანობით მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ“. აღნიშნულ ფორმაში ორგანიზაციამ უნდა ასახოს მხოლოდ იმ თანხების მოძრაობა, რომლებიც მიღებულია მუნიციპალიტეტის ეკონომიკური საქმიანობის შედეგად, ხოლო ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტს ფორმაში ასახული აქვს მთლიანად წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლები და გაწეული ხარჯები. შედეგად, ბალანსის დანართი - ფორმა №4 არასწორადაა შევსებული.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, არასწორადაა წარმოდგენილი ორგანიზაციის „ანგარიში ეკონომიკური საქმიანობით მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ“ (ბალანსის დანართი - ფორმა №4)

ინვენტარიზაცია

გარემოება: საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანების „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ თანახმად, საბიუჯეტო ორგანიზაციაში აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა ყოველწლიურად, საბიუჯეტო წლის ბოლოს, გარდა უძრავი ქონებისა და საბიბლიოთეკო ფონდებისა, რომელთა ინვენტარიზაცია სავალდებულოა 3 წელიწადში ერთხელ მაინც. აღნიშნული ბრძანებით, აქტივების სხვადასხვა ჯგუფისთვის განსაზღვრულია ინვენტარიზაციის ჩატარების რეკომენდირებული ვადები, კერძოდ:

- ✓ ძირითადი აქტივების – საბიუჯეტო წლის ბოლოს, არა უადრეს პირველი ოქტომბრისა;
- ✓ სტრატეგიული მარაგების – საბიუჯეტო წლის ბოლოს, არა უადრეს პირველი ოქტომბრისა;
- ✓ ნედლეულისა და მასალების – წელიწადში ორჯერ მაინც;

- ✓ მატერიალური მარაგების – წელიწადში ერთხელ მაინც, არა უადრეს პირველი ოქტომბრისა;
- ✓ ფულადი ანგარიშებისა და ფულადი დოკუმენტების – კვარტალში ერთხელ მაინც;
- ✓ საწვავის – ყოველთვიურად;
- ✓ ფასეულობების – წელიწადში ერთხელ მაინც, საბიუჯეტო წლის ბოლოს, არა უადრეს პირველი ნოემბრისა;
- ✓ ფინანსური მოთხოვნებისა და ვალდებულებების – წელიწადში ორჯერ მაინც.

2012 წელს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში ინვენტარიზაცია⁸ არ ჩატარებულა. შესაბამისად, აუდიტის ჯგუფმა ვერ მოახერხა აქტივებისა და ვალდებულებების ფაქტობრივი ნაშთების დადგენა და მათი შედარება ორგანიზაციის სააღრიცხვო დოკუმენტებთან.

გავლენა:

- იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ 2012-2013 წლებში ინვენტარიზაცია არ განხორციელებულა, არსებობს მაღალი რისკი იმისა, რომ ორგანიზაციის საკუთრებაში არსებული ყველა აქტივი არ იყოს ჩაბარებული პასუხისმგებელ პირზე. აქტივების შენახვაზე პასუხისმგებელი პირის არარსებობა გულისხმობს იმას, რომ მუნიციპალიტეტს არ აქვს დაწესებული სათანადო კონტროლი თავისთავად საკუთრებაში არსებულ ქონებასა და მატერიალური აქტივების მოძრაობაზე.

აუდიტის მოსაზრება

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, გარდა „პირობითი მოსაზრებების საფუძვლების“ საკითხების შესაძლო გავლენისა, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგება 2012 წლის 31 დეკემბრის

⁸ მათ შორის, არ განხორციელებულა უძრავი ქონებისა და საბიბლიოთეკო ფონდების ინვენტარიზაცია, რომელიც სავალდებულოა სამ წელიწადში ერთხელ.

მდგომარეობით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებულია შემდეგი დოკუმენტების საფუძველზე:

✓ „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულება;

✓ „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია;

✓ „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება.

✓ „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანება;

✓ „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის №439 ბრძანება.

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის 2013 წლის ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტი

ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

2013 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის შემოსულობებმა შეადგინა 7 897.6 ათასი ლარი, რაც 259.3 ათასი ლარით ნაკლებია გეგმით გათვალისწინებულ მაჩვენებელზე. შემოსულობების 95,2 % მოდის გრანტებზე. მუნიციპალიტეტმა საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 2013 წელს მიიღო გათანაბრებითი ტრანსფერი 3 330.1 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი - 155.0 ათასი ლარი და სპეციალური ტრანსფერი - 4 010.3 ათასი ლარი.

2013 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, ბიუჯეტის გადასახდელებმა შეადგინა 7 697.4 ათასი ლარი. მათ შორის:

- ✓ ხარჯები - 3 966.4 ლარი
- ✓ არაფინანსური აქტივების ზრდა - 3 731.0 ლარი

ორგანიზაციის შიდა კონტროლის ხარვეზები

2013 წლიდან ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი ფლობს ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად საჭირო პროგრამულ უზრუნველყოფას. შესაბამისად, 2013 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში მიმდინარე ოპერაციები წინა წელთან შედარებით უფრო საიმედოდ არის წარმოდგენილი. გაუმჯობესებული შიდა კონტროლის მექანიზმების მიუხედავად,⁹ არსებობს რიგი ფაქტორები, რის გამოც ვერ ხდება ფინანსური ინფორმაციის საიმედოდ ასახვა და წარდგენა.

აუდიტის ჯგუფის მიერ იდენტიფიცირებული არსებითი უზუსტობების რისკზე საპასუხოდ განხორციელებული აუდიტორული პროცედურებითა და

⁹ რაც ძირითადად გამოიხატება ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად საჭირო პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვაში.

მუნიციპალიტეტის შიდა კონტროლის სისტემის შესწავლით გამოვლინდა, რომ ორგანიზაციის მიერ დანერგილი შიდა კონტროლი ვერ უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი უზუსტობის გამოვლენას ან/და თავიდან აცილებას შემდეგ პროცედურებზე:

- ✓ არაფინანსური აქტივების აღრიცხვა, საბალანსო ღირებულების შეფასება;
- ✓ ორგანიზაციის მიერ განხორციელებული ოპერაციების შესაბამის ანგარიშებზე კლასიფიკაცია და ფინანსურ ანგარიშგებაში უტყუარად წარდგენა;
- ✓ ამორტიზებული აქტივების აღრიცხვა და ჩამოწერა;
- ✓ გრძელვადიან აქტივებს მიკუთვნებული სამუშაოებისთვის ცვეთის კოეფიციენტის განსაზღვრა და ცვეთის დარიცხვა;
- ✓ კაპიტალური და მიმდინარე ხარჯების გამიჯვნა.

აუდიტის ჯგუფი არ გამოთქვამს მოსაზრებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი საწყისი ნაშთების სისწორეზე. ჩასატარებელი აუდიტორული პროცედურების განსაზღვრის დროს ბალანსში წარმოდგენილი საწყისი ნაშთები მიღებულია როგორც სარწმუნო.

ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია პირობითი აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

2013 წლის ფინანსური ანგარიშგების პირობითი მოსაზრების საფუძველი

მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში

გარემოება: ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტს, 2013 წლის 31 დეკემბერს საბანკო ამონაწერის მიხედვით, მიმდინარე ანგარიშზე ერიცხება თავისუფალი ნაშთი 216.1 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული თანხა წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ფინანსურ აქტივს. მიუხედავად ამისა, ბანკის მიმდინარე ანგარიშზე არსებული ნაშთი ორგანიზაციას ფინანსური ანგარიშგების შესაბამის მუხლში არ აუსახავს.

გავლენა:

- მიმდინარე ანგარიშზე არსებული ნაშთის აღურიცხაობის გამო, ფინანსურ ანგარიშგებაში, კერძოდ, ბალანსში, მუხლები - „მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში“ და „წმინდა ღირებულება“, 216.1 ათასი ლარით შემცირებულადაა წარმოდგენილი.
- გამოვლენილი გარემოების შედეგად, 216.1 ათასი ლარით არასწორადაა წარმოდგენილი ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ, (ბალანსის დანართი - ფორმა №3).

წინასწარ გადახდილი გადასახადები

გარემოება №1: 2013 წელს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტს შემოსავლების სამსახურში არსებული პირადი აღრიცხვის ბარათზე ერიცხება ზედმეტად გადახდილი საშემოსავლო გადასახადი, საერთო თანხით - 23.7 ათასი ლარი. აღნიშნული საგადასახადო აქტივი მუნიციპალიტეტს უნდა აღერიცხა ფინანსური ანგარიშგების შესაბამის მუხლებში, რაც არ განხორციელებულა.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებაში 23.7 ათასი ლარით შემცირებულადაა წარმოდგენილი ორგანიზაციის ბალანსის „წინასწარ გადახდილი გადასახადების და „წმინდა ღირებულების მუხლები“. ასევე აღნიშნული თანხით არასწორადაა წარმოდგენილი ორგანიზაციის ანგარიში „წმინდა ღირებულების“ შესახებ (ბალანსის დანართი - ფორმა №3).

გარემოება №2: ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტს შემოსავლების სამსახურის პირადი აღრიცხვის ბარათზე 2007 წლიდან ერიცხებოდა ზედმეტად გადახდილი გადასახადები 277.8 ათასი ლარის ოდენობით. შემოსავლების სამსახურის მიერ მუნიციპალიტეტისათვის მიწერილი წერილიდან (წერილი №21-11/78121, 11/10/2013) ირკვევა, რომ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №326 ბრძანების თანახმად, შემოსავლების სამსახური მუნიციპალიტეტს სთხოვს დოკუმენტურად დაადასტუროს 277.8 ათასი ლარის საგადასახადო ზედმეტობის წარმოშობის მიზეზი, რათა შემდგომ მოახდინოს აღნიშნული თანხის კორექტირება. პასუხისმგებელი პირის განმარტებით¹⁰, მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურებს არ განუხორციელებია სათანადო ქმედება არსებული საგადასახადო ზედმეტობის დასადასტურებლად. რადგან შემოსავლების სამსახურმა ვერ მიიღო აღნიშნული თანხების წარმოშობის დოკუმენტური მტკიცებულება, მოხდა თვითმმართველი ერთეულის მიერ ზედმეტად გადახდილი გადასახადების განულება.

გავლენა:

- იმ შემთხვევაში, თუ მუნიციპალიტეტი გაატარებდა შესაბამის ღონისძიებებს და მოიპოვებდა გადახდილი გადასახადების წარმოშობის

¹⁰ საბიუჯეტო საფინანსო სამსახურის უფროსის ახსნა განმარტებითი ბარათი №9

დამადასტურებელ დოკუმენტაციას, მას შესაძლოა არ დაეკარგა აღნიშნული ფინანსური აქტივი.

შენობა-ნაგებობები

გარემოება №1: 2013 წელს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში შესრულდა 345.1 ათასი ლარის გზის მოხრეშვის სამუშაოები, რომელიც ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებაში აღირიცხა, როგორც კაპიტალური ხარჯი. მიუხედავად იმისა, რომ შესრულებული სამუშაოები ინარჩუნებს აღნიშნული აქტივის სარგებლიანობას, იგი მნიშვნელოვნად არ ზრდის გზის საფარის თვისებებს და მისი გამოყენების ვადას. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მიხედვით, მოხრეშვის მსგავსი სამუშაოები თვისობრივად არ აკმაყოფილებს კაპიტალურ ხარჯად აღიარების კრიტერიუმს. შესაბამისად, მასზე გაწეული დანახარჯები მინიციპალიტეტს ნაცვლად „კაპიტალური ხარჯისა“, უნდა აღერიცხა „მიმდინარე ხარჯების“ მუხლით.

გავლენა:

- ოპერაციის აქტივად არასწორად აღიარების გამო, ფინანსურ ანგარიშგებაში, ბალანსში და ორგანიზაციის ანგარიშში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ (ბალანსის დანართი - ფორმა №5) 345.1 ათასი ლარით გაზრდილია „არაფინანსური აქტივების“ მუხლები. ასევე არასწორადაა წარმოდგენილი ორგანიზაციის ანგარიშში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ (ბალანსის დანართი - ფორმა № 2-1).
- მოხრეშვის სამუშაოები არ წარმოადგენს აქტივს, შესაბამისად, მასზე ცვეთის დარიცხვა არასწორია. ამ მიზეზით ფინანსურ ანგარიშგებაში არასწორადაა წარმოდგენილი ორგანიზაციის „ანგარიშში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ (ბალანსის დანართი - ფორმა №5) და

ორგანიზაციის „ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ (ბალანსის დანართი - ფორმა №3).

○ ორგანიზაციის ხარჯების ანგარიშში ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით (ბალანსის დანართი - ფორმა №2), „მიმდინარე ხარჯებისა“ და ორგანიზაციის „ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ (ბალანსის დანართი - ფორმა №3) „საქონელი და მომსახურების“ მუხლები შემცირებულია 345.1 თასი ლარით

გარემოება №2: 2013 წელს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტს სახელმწიფოსგან გადაეცა რვა სხვადასხვა შენობა მასზე დამაგრებული მიწით:

ცხრილი 4: 2013 წელს სახელმწიფოს მიერ მუნიციპალიტეტისათვის გადმოცემული ქონება

მისამართი	საკადასტრო კოდი	განაშენიანების ფართობი(კვ.მ)	მიწის ფართობი (კვ.მ)
დაბა ჩხოროწყუ, აღმაშენებლის ქუჩა №6	46.02.31.046	1208.2	1415
დაბა ჩხოროწყუ, აღმაშენებლის ქუჩა №4	46.02.31.128	238.7	368
ჩხოროწყუს რაიონი, სოფელი მუხური	46.10.35.108		2145
დაბა ჩხოროწყუ, აღმაშენებლის ქუჩა №4	46.02.31.043.01.512	1156.9	1479
დაბა ჩხოროწყუ, გობეჩიას ქუჩა № 7	46.02.31.028	233.7	348
დაბა ჩხოროწყუ, აღმაშენებლის ქუჩა №5	46.02.32.079		860
ჩხოროწყუს რაიონი, დაბა ჩხოროწყუ	46.02.34.061		8000
ჩხოროწყუს რაიონი, სოფელი კირცხი	46.04.37.031	315	1539

პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტს არ შეუფასებია გადმოცემული ქონების ღირებულება და შესაბამისი თანხა არ აუსახავს ფინანსურ ანგარიშგებაში. ასევე ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ფინანსურ

ანგარიშგებაში „არაფინანსური აქტივების“ მუხლით არ არის აღრიცხული 2012 წელს სახელმწიფოსგან მიღებული უძრავი ქონება (ცხრილი 1).

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, არასწორადაა წარმოდგენილი ორგანიზაციის ბალანსის „ძირითადი აქტივების“ და „წმინდა ღირებულების“ მუხლები.
- მიღებული ქონების აღურიცხაობის გამო, არასწორია ორგანიზაციის „ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ (ბალანსის დანართი - ფორმა №5.)
- იმის გათვალისწინებით, რომ უსასყიდლოდ მიღებული აქტივები მუნიციპალიტეტს არ აღურიცხავს და შესაბამისად, არ მომხდარა მათზე ცვეთის დარიცხვა, არასწორადაა წარმოდგენილი ორგანიზაციის „ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის შესახებ“ (ბალანსის დანართი - ფორმა №2) და „ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ (ბალანსის დანართი - ფორმა №3).

მანქანა-დანადგარები და ინვენტარი

გარემოება №1: ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბალანსის არაფინანსურ აქტივებში „მანქანა-დანადგარები და ინვენტარის“ მუხლში აღრიცხული ავტომანქანებიდან სამი ერთეული სატრანსპორტო საშუალება, საერთო ღირებულებით - 33.3 ათასი ლარი, დაზიანებულია და ექვემდებარება მეორეული ლითონის სახით რეალიზაციას.¹¹ რადგან აღნიშნული აქტივები მწყობრიდანაა გამოსული და არ გამოიყენება დანიშნულებისამებრ, ისინი არ უნდა ირიცხებოდეს მუნიციპალიტეტის ბალანსის „არაფინანსური აქტივების“ მუხლში.

¹¹ მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ზაზა ხორავა (ახსნა -განმარტებითი ბარათი № 2).

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად ორგანიზაციის ბალანსსა და ანგარიშში „არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ (ბალანსის დანართი - ფორმა №5) „სატრანსპორტო საშუალებების“ მუხლი 33.3 ათასი ლარით გაზრდილად არის წარმოდგენილი.
- რადგან მუნიციპალიტეტი მწყობრიდან გამოსულ აქტივებს არიცხავს ცვეთას, შესაბამისი ცვეთის თანხით არასწორადაა წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების ფორმა „არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ (ბალანსის დანართი - ფორმა №5) და ორგანიზაციის ანგარიში „წმინდა ღირებულების შესახებ“ (ბალანსის დანართი - ფორმა №3).

გარემოება №2: ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბალანსის „არაფინანსური აქტივების“ მუხლში ირიცხება მწყობრიდან გამოსული ინვენტარი, რომელსაც გამგეობა არ იყენებს თავისი საქმიანობის განსახორციელებლად. 2013 წელს მუნიციპალიტეტს არ შეუფასებია მწყობრიდან გამოსული აქტივები და არ ჩამოუწერია ისინი ორგანიზაციის ბალანსიდან.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, გაზრდილადაა წარმოდგენილი ორგანიზაციის ბალანსის არაფინანსური აქტივები, კერძოდ, მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის მუხლი.
- იმის გათვალისწინებით, რომ მწყობრიდან გამოსულ აქტივებს ერიცხება ცვეთა, არასწორადაა წარმოდგენილი ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით და არაფინანსური აქტივების მიღება - გასვლის შესახებ ანგარიში (ბალანსის დანართი - № 2 და № 5) ასევე არასწორადაა წარმოდგენილი ორგანიზაციის „ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ (ბალანსის დანართი № 3).

ძირითადი კაპიტალის მოხმარება

გარემოება: მუნიციპალიტეტი ძირითადი საშუალებების აღრიცხვის დროს, არ იყენებს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის №439 ბრძანებით - „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ - განსაზღვრულ ცვეთის ნორმებს, რის გამოც არასწორად აღირიცხება არაფინანსური აქტივები. პასუხისმგებელი პირის განმარტებით¹², არაფინანსური აქტივების ცვეთის გაანგარიშებისას მუნიციპალიტეტი იყენებს საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ წესს. ცვეთის დარიცხვის არასწორი პრინციპის გამო: 1. ნარჩენი ღირებულება გააჩნია ისეთ აქტივებს, რომლებიც 2013 წლისთვის ამორტიზებული უნდა იყოს და 2. აქტივების ცალკეული ჯგუფებისთვის არასათანადოდაა განსაზღვრული ცვეთის ნორმები.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, მუნიციპალიტეტის ბალანსში არასწორადაა წარმოდგენილი ძირითადი საშუალებების ღირებულებები, წმინდა ღირებულების ანგარიში და ბალანსის საცნობარო მუხლი „ამორტიზებული ძირითადი აქტივები“.
- არასათანადოდ შერჩეული ცვეთის ნორმების შედეგად, არასწორადაა წარმოდგენილი ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ (ბალანსის დანართი - ფორმა № 5).
- იმის გათვალისწინებით, რომ ორგანიზაცია არასათანადოდ აღრიცხავს ცვეთის ხარჯს, არაზუსტადაა წარმოდგენილი ორგანიზაციის „ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ (ბალანსის დანართი - ფორმა № 2) და „ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ (ბალანსის დანართი - ფორმა №3).

¹² მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ზაზა ხორავა (ახსნა განმარტებითი ბარათი № 5).

სუბსიდიები

გარემოება №1. 2013 წელს სხვადასხვა ღონისძიების დასაფინანსებლად მუნიციპალიტეტმა განახორციელა 142.7 ათასი ლარის საქონლისა და მომსახურების შესყიდვა. აღნიშნული თანხა მუნიციპალიტეტის ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულია „სუბსიდიის“ მუხლში. „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის თანახმად, „სუბსიდიის“ მუხლში აღრიცხება სსიპ-სა და სხვა სახელმწიფო არაფინანსურ საწარმოებზე მიმდინარე და საოპერაციო ხარჯების დასაფინანსებლად გაცემული თანხები. შესაბამისად, აღნიშნულ ღონისძიებებზე გაწეული ხარჯი არ მიეკუთვნება „სუბსიდიას“ და მისი აღრიცხვა უნდა მომხდარიყო „საქონლისა და მომსახურების“ მუხლით.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, ფინანსური ანგარიშგების დანართებში: „ორგანიზაციის ხარჯების ანგარიში ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ და „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ (დანართი ფორმა -№2 და ფორმა №3) 142.7 ათასი ლარით გაზრდილია „სუბსიდიების“, ხოლო იმავე თანხით შემცირებულია „საქონლისა და მომსახურების“ მუხლები.

გარემოება №2: 2013 წელს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტს შვიდ ა(ა)იპ-ზე მიმდინარე საქმიანობის დაფინანსების მიზნით გაცემული აქვს 1 163.2 ათასი ლარი. „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის თანახმად, აღნიშნული ხარჯი წარმოადგენს ორგანიზაციის მიერ გაწეულ სუბსიდიას, რომლის აღრიცხვაც უნდა მომხდარიყო ორგანიზაციის ბალანსის შესაბამის მუხლში, რაც მუნიციპალიტეტს არ განუხორციელებია. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნული განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ორგანიზაცია ფინანსურ ანგარიშგებაში არ ახდენს იმ თანხების აღრიცხვას

რომელიც ა(ა)იპ-ს მიეცემათ მიმდინარე და საოპერაციო ხარჯების დასაფინანსებლად.

ცხრილი 5: 2013 წელს ა(ა)იპ-ებზე გაცემული სუბსიდია (ათასი ლარი)

ა(ა)იპ-ის დასახელება		გაცემული სუბსიდია
1.	დასუფთავებისა და კეთილმოწყობის ცენტრი	207.1
2.	განათლების ცენტრისა და სასპორტო სკოლის გაერთიანება	521.2
3.	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ფეხბურთის ცენტრი	119.1
4.	კულტურის ცენტრი	175
5.	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლა	35
6.	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი	38.8
7.	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ჯანდაცვის ცენტრი	67
სულ:		1163.2

გავლენა:

- იმის გათვალისწინებით, რომ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის აღრიცხული მუნიციპალიტეტის მიერ სუბსიდიის სახით გაწეული 1 163.2 ათასი ლარის ხარჯი, შესაბამისი თანხით არასწორადაა წარმოდგენილი ორგანიზაციის „ხარჯების ანგარიში ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ (დანართი №2) და ორგანიზაციის „ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ (დანართი №3). შესაბამისად, ორგანიზაციის ბალანსში არასწორადაა წარმოდგენილი „წმინდა ღირებულების“ მუხლი.

ანგარიში ეკონომიკური საქმიანობით მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ

გარემოება: ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტმა აუდიტის ჯგუფს წარუდგინა ბალანსის დანართი - ფორმა №4 - „ანგარიში ეკონომიკური საქმიანობით მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ“. აღნიშნულ ფორმაში ორგანიზაციამ უნდა ასახოს მხოლოდ იმ თანხების მოძრაობა, რომლებიც მიღებულია მუნიციპალიტეტის

ეკონომიკური საქმიანობის შედეგად, ხოლო ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტს ფორმაში ასახული აქვს მთლიანად წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლები და გაწეული ხარჯები. შედეგად, ბალანსის დანართი - ფორმა №4 არასწორადაა შევსებული.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად არასწორადაა წარმოდგენილი ორგანიზაციის „ანგარიში ეკონომიკური საქმიანობით მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ“ (ბალანსის დანართი - ფორმა №4).

შენიშვნა-ნაგებობები (გზები/ხიდები)

გარემოება: 2013 წელს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტმა რეაბილიტაცია ჩაუტარა სამ ხიდს, საერთო ღირებულებით - 30 ათასი ლარი. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული აქტივების კლასიფიცირება უნდა მომხდარიყო არაფინანსური აქტივების „ხიდების“ მუხლით, იგი აღრიცხულია „გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებში“.

გავლენა:

- იმის გათვალისწინებით, რომ ორგანიზაციის ანგარიშში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ (ბალანსის დანართი - ფორმა №5), სამუშაოები არასწორადაა კლასიფიცირებული, „ხიდების“ მუხლი 30 ათასი ლარით ნაკლებად, ხოლო „გზების“ მუხლი, ამავე თანხით გაზრდილად არის წარმოდგენილი. ასევე არასწორადაა წარმოდგენილი ორგანიზაციის „ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ“ (ბალანსის დანართი - ფორმა № 2-1).

ინვენტარიზაცია

გარემოება: საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანების „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ თანახმად, საბიუჯეტო ორგანიზაციაში აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა ყოველწლიურად,

საბიუჯეტო წლის ბოლოს, გარდა უძრავი ქონებისა და საბიბლიოთეკო ფონდებისა, რომელთა ინვენტარიზაცია სავალდებულოა 3 წელიწადში ერთხელ მაინც. აღნიშნული ბრძანებით, აქტივების სხვადასხვა ჯგუფებისთვის, განსაზღვრულია ინვენტარიზაციის ჩატარების რეკომენდირებული ვადები. კერძოდ:

- ✓ ძირითადი აქტივების – საბიუჯეტო წლის ბოლოს, არა უადრეს პირველი ოქტომბრისა;
- ✓ სტრატეგიული მარაგების – საბიუჯეტო წლის ბოლოს, არა უადრეს პირველი ოქტომბრისა;
- ✓ ნედლეულისა და მასალების – წელიწადში ორჯერ მაინც;
- ✓ მატერიალური მარაგების – წელიწადში ერთხელ მაინც, არა უადრეს პირველი ოქტომბრისა;
- ✓ ფულადი ანგარიშებისა და ფულადი დოკუმენტების – კვარტალში ერთხელ მაინც;
- ✓ საწვავის – ყოველთვიურად;
- ✓ ფასეულობების – წელიწადში ერთხელ მაინც, საბიუჯეტო წლის ბოლოს, არა უადრეს პირველი ნოემბრისა;
